პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# წითელ-არმიელი

ფასი 3 კაპ.

შაბათი, 24 აპრილი 1926 წ.

რედაქციის მისამართი: ტფილისი, ევანგულოვის ქ. ელსმენი 2—24.

—

განცხადების ფასი პირველ გვერდ. 80 კ. სტრ. 4 გვ. 40 კ.

89 (1084) | 1 და 2 ქართული მსროლელი დივიზიის პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | 89 (1084)

## ახალი ეკონომიური პოლიტიკის დღევანდელი სახე.

საქ. კომ. პარტ. (ბ) ც. კ. აპრილის პლენუმზე, იმ მრავალ საკითხთა შორის, რომელსაც პლენუმი განიხილავდა, იყო აგრეთვე დასმული დღის წესრიგში, საკითხი ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესახებ.

ახალი ეკონომიური პოლიტიკა დღიდან თავისი არსებობისა საგრძნობლათ ვითარდებოდა და იზრდებოდა.

მაგრამ ამ განვითარების საფეხურები, უნდა ვიფიქროთ, რომ ერთი და იმავე ხასიათის ტარებელი არ იყო.

არამედ ახალი ეკონომიური პოლიტიკა თავის განვითარების პროცესში ისეთი ახალი მხარეებს იჩენდა, რომელიც მოსალოდნელიც იყო და ამავდროს ეს ახალი მხარეები შეთანხმებული გამოდიოდა ჩვენი მშენებლობითი მუშაობის გეგმასთანაც.

და აი სწორედ აპრილის პლენუმის წინაშე დაისვა საკითხი იმის შესახებ თუ რა ახალი მოვლენით ხასიათდება, ახალი ეკონომიური პოლიტიკის დღევანდელი სახე.

ამ მხრივ აპრილის პლენუმმა პირველსათ ყოვლისა, ახალი ეკონომ. პოლიტიკის ახალ მოვლენათ აღნიშნა ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელ ხანაში, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში წარმოებული სახალხო მეურნეობის ზრდამ და განვითარებამ ფეხი შესდგა, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის გზაზე.

და პლენუმმა აღნიშნა რა ეს მხარე, სათანადოთ გააშუქა ყველასათვის გასაგებათ ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ აღორძინების საქმე დღითი-დღე, სწრაფი ნაბიჯებით იდის წინ და აგრეთვე ის, რომ ამ გზით ჩვენ თანდათანობით შევსძლებთ სოციალიზმის აღმშენებლობას. მაგრამ აქ საკითხავია შემდეგი: რა აზრით ხმარა პლენუმმა, სიტყვა ინდუსტრიალიზაცია?

რას ნიშნავს იგი? უსათუოდ ასეთი კითხვა დაებადება ჩვენს მკითხველს, ამ სიტყვის ხმარების დროს.

ამ ინდუსტრიალიზაციის ქვეშ, პლენუმმა იგულისხმა ის, რომ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დღევანდელ პირობებში, ჩვენ შევსძელით სათანადო სიმაღლეზე დაგვეყენებია ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება და განსაკუთრებით კი ჩვენ შევსძელით იმდენი საქონლის დამზადება, რომ ჩვენი კავშირის საქონლის შიმშილი საგრძნობლათ დაგვეკმაყოფილებია.

აი მოკლეთ ასეთი გაგებით იყო ნახმარი სიტყვა ინდუსტრიალიზაცია. მაგრამ გარდა ამისა პლენუმმა აღნიშნა ის, რომ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის არ არის საკმარისი მარტოოდენ მატერიალური, ნივთიერი პირობები. არამედ გარდა ამისა საჭიროა, ცოცხალი ძალა, სამუშაო ძალა. და აი აქაც პლენუმმა შეიმუშავა სათანადო ინსტრუქციები იმისათვის, რომ ეს ცოცხალი ძალა, მუშების და გლეხების მჭიდრო კავშირში გამოხატული, კიდევ უფრო გაძლიერდეს და განვითარდეს. როგორც ვხედავთ, ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დღევანდელი სახე ორი მიმართულებით მიდის: ვითარდება მჭიდრო კავშირი მუშებსა და გლეხებს შორის და აგრეთვე ვითარდება ჩვენი ქვეყნის მატერიალური სიკეთეც.

ამ ორი მოვლენათა შორის, რასაკვირველია მჭიდრო კავშირი არსებობს და ამ კავშირით, როგორც ეს პლენუმმაც აღნიშნა, ჩვენ მივდივართ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ სავსებით აღდგენამდი.

ინდუსტრია—სოციალიზმის საფუძველია. ინდუსტრიას ჩვენ გავაძლიერებთ. ამით კი სოციალიზმის საქმეს მოვიგებთ და მზად ვიქნებით მტრის ჩვენზე ამოღებული ხმალს არ მივსცეთ საშუალება ჩვენი განადგურების.

## ბრძოლა გაჩაღდა

ინგლისის ქვანახშირის მრეწველობაში მეტად გამწვავდა საკითხი. ბრძოლამ მემადაროეებსა და მუშებს შორის უკიდურეს საზღვარს მიაღწია.

ამასთან დაკავშირებით ენერგიულ მუშაობას აწარმოებს ინგლისის კომუნისტური პარტია. ცენტრალურ კომიტეტმა გამოუშვა დეკლარაცია, რომელშიაც აცხადებს, რომ დიდი ბრძოლა მრეწველობაში, რომელიც ჯერ კიდევ გასული წლის აგვისტოში იყო ნაწინასწარმეტყველევი, ამჟამად უმწვერვალესად განვითარდა. ამ ბრძოლაში მუშებს აცდენს დამარცხებას მჭიდრო მთლიანობა და მთელი მუშათა მოძრაობის გადამჭრელი ნაბიჯები.

ინგლისის მრეწველებმა გამოიყენეს წარსული პერიოდი და ფართედ მოემზადენ ბრძოლისათვის. იმათ ისარგებლეს ქვანახშირის კომისიის მოხსენებით და იმედი ჰქონდათ დააცალკევებდენ მრეწველობის ქვანახშირისა და სხვა დარგის მუშებს და ამრიგად გაიმარჯვებდენ.

ქვანახშირის კომისიის მოხსენებაში იყო აგრეთვე ცდები ჩამოეგდოთ შუღლი ქვანახშირის სამრეწველოს სხვა და სხვა კატეგორიის მუშებ შორის.

მაგრამ კომპარტია ფხიზლად სდგას სადარაჯოზე. ის მოუწოდებს სამთო-მადნო მუშებს უარყონ ყოველგვარი შეთანხმება, რომელშიაც გათვალისწინებული იქნება სამუშაო ხელფასის დაკლება და სხვა ასეთი მუშათა საზარალო პირობები. მუშებმა აგრეთვე უნდა უარყონ ყოველგვარი წინადადება ცალკე ოლქებად მოლაპარაკების შესახებ, ვინაიდან მოსალოდნელია დაირღვეს მუშათა ერთსულოვნება და დამარცხდეს მუშათა კლასი.

კომპარტია მოუწოდებს სამრეწველოს და სხვა დარგის მუშებსაც კვლავ ძალა დაატანონ თავიანთ ბელადებს ქვანახშირის მადაროების მუშებზე დახმარების მიზნით.

ამ ჟამად სამუშაო ხელფასის მომატებას მოითხოვენ აგრეთვე რკინისგზელები, მელითონეები და ამზადებენ მოთხოვნილებებს მრეწველობის სხვა დარგის მუშებიც. მთელი მუშების ბრძოლის ბედს გადასჭრის სამთო-მადნო მუშათა ბრძოლა, თუ რომ ეს ბრძოლა წაგებული იქნა, მას მოჰყვება მუშათა კლასის სამუშაო ხელფასის შემცირება მთელს ინგლისში.

კომპარტია დაჟინებით ურჩევს ტრედ-იუნიონების (ინგლისის პროფკავშირები) კონგრესის მთავარ საბჭოს—მოიწვიონ პროფკავშირთა აღმასკომების თათბირი, რათა დარაზმული შეხვდეს მუშათა კლასი მრეწველთა შემოტევას და სამუშაო ხელფასის დაკლების ყოველგვარ ცდებს საერთო გაფიცვით გასცენ პასუხი.

ინგლისის კომუნისტების მიმართვის დასასრული ნათქვამია: „სამთო-მადნო მუშათა ბრძოლა—ყველა მშრომელთა ბრძოლაა. დადგა დრო, როცა მუშათა კლასი გაერთიანებული ძალით უნდა გამოვიდეს“.

# ახალი რადიო ამბები

## ბრძოლა უცხოელთა ბატონობის წინააღმდეგ

კუნძულ სუმატრაზე განუწყვეტელი შეტაკებები ხდება ჰოლანდიის ჯარებსა და ადგილობრივ აჯანყებულებს შორის.

ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ფოლკი“ მიუთითებს ამ სერიოზულ მდგომარეობაზე კოლონიაში.

გაზეთის აზრით იქ ცალკე პიროვნებათა გამოსვლა კი არა, ადგილობრივ მოსახლეობის შეიარაღებული ბრძოლაა.

ატჯეხთა ოლქში—სწერს გაზეთი—რამოდენიმე წლის წინად სწარმოებდა კოლონიალური ბრძოლა და ატჯეხები ჰოლანდიის შეურიგებელი მტრები დარჩენ. ამჟამად ახალი ომის საფრთხე ამ ოლქში უფრო ძლიერია, ვინემ ოდესმეც ყოფილა.

## საბჭოთა კავშირში

### ძმური ხელი

საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭომ გაუგზავნა ინგლისის პროფკავშირებს დეპეშა, რომელშიაც ის უცხადებს სამთო-მადნო მუშებს სოლიდარობას და აღუთქვამს ყოველგვარ ძმურ დახმარებას ინგლისის მუშებს.

## კონტრრევოლიუციონერი ბერები

ოდესაში დააპატიმრეს 2 ბერი შკორუპინი და კრავცოვი, რომლებიც ეწეოდენ კონტრ-რევოლიუციონურ მოღვაწეობას. შკორუპინმა გამოიტანა ოდესის ერთი ეკლესიიდან საეკლესიო ქონება და მოაწყო თავის სახლში საიდუმლო ეკლესია. შკორუპინი უხვად ღებულობდა საჩუქრებს მლოცველებისაგან.

აღმოჩენილ საბუთებიდან გამოირკვა, რომ მუშაობა სწარმოებდა სერბიაში მყოფ თეთრგვარდიელთა მისიის კარნახით. შკორუპინის ბინის გაჩხრეკის დროს ხატის უკან აღმოაჩინეს საბუთები ჩვენი სამხედრო გეგმების შესახებ.

## ამუნდსენის ექსპედიცია.

დირიჟაბლი „ნორვეგია“ გაფრინდება ლენინგრადიდან არა უგვიანეს 27 აპრილისა. შპიცბერგენზე ამუნდსენის ექსპედიცია დარჩება მაისის პირველ რიცხვებამდი და შემდეგ გაემართება ჩრდილოეთ პოლიუსისკენ.

## ფუნტიკოვის გასამართლება

### მეექვსე სხდომა

### სასამართლომ დააპატიმრა მოწმე შჩეგოლიუტინი.

22 აპრილს გრძელდება მოწმეების დაკითხვა ფუნტიკოვის საქმეზე.

მოწმე გორბაჩევი, ყოფილი რკინისგზელი, რომელმაც იმოგზაურა კრასნოვოდსკში 26 კომისართა მატარებელში, მნიშვნელოვან ცნობებს აძლევს სასამართლოს კომისრების წაყვანის შესახებ.

სხდომის დარბაზში მღელვარებას იწვევს მემანქანე შჩეგოლიუტინის ჩვენება, რომელსაც მიჰყავდა მატარებელი კომისრებით—დასახვრეტად.

შჩეგოლიუტინი ლაპარაკობს ხმადაბლა და ამნეულად. მოწმე—ფუნტიკოვის ამხანაგია, და მისი განცხადებით თანაუგრძნობდა ესერების პარტიას.

მოწმე ლაპარაკობს, თუ როგორ გადმოიყვანა მე-207 ვერსამდი ორმა ჯგუფმა კომისრები და ბორცვებს გადაღმა დახვრიტა.

გორბაჩოვისა და შჩეგოლიუტინის ჩვენება ერთი მეორისას ეწინააღმდეგება.

### დახვრეტას ასრულებდა ესერების დრუჟინები

გორბაჩევისა და შჩეგოლიუტინის ჩვენების შემდეგ გამოვიდა სახელმწიფო ბრალმდებელი ქავთარაძე შჩეგოლიუტინის კონტრრევოლიუციონრობის ბრალდებით. შჩეგოლიუტინს აპატიმრებენ.

ბოლოს მოწმე სურენ შაუმიანი ამბობს, რომ კომისრები დახვრეტილ იქნა ესერების დრუჟინების მიერ.

# საქართველოში.

## გლეხკომების საქმიანობა

რუისპირის გლეხკომი შეუდგა სასმელი წყლის არხის გაყვანას სოფელში.

საბუის გლეხკომმა გამოიწერა ტრაქტორი.

აწყურის გლეხკომმა მოაწყო არტელი ფილოქსერასთან საბრძოლველად.

## საამშენებლო მუშაობა

ახალციხეში და მის მაზრაში ენერგიული საამშენებლო მუშაობა სწარმოებს.

ქალაქში სრულდება სამაზრო საავადმყოფოს, საბჭოთა სახლის შეკეთება.

### სკოლა გლეხთა ახალგაზრდობისათვის.

სამაზრო აღმასკომმა გასცა 5.000 მანეთი სოფელ უდეში გლეხთა ახალგაზრდობის სკოლის დასამთავრებლად.

## გლეხების გადასახლება

სოფელ თოლნიანისა და ალაზნის გლეხობამ, რომელიც სცხოვრობს ციებ-ცხელებიან ადგილებში, შუამდგომლობა აღძრა სხვა ადგილზე გადასახლების შესახებ.

შუამდგომლობა დაკმაყოფილებულ იქნა და გლეხობა სახლდება წინანდალში.

## მატყლის დამზადება

მეცხვარეთა საზოგადოება „მწყემსი“ შეუდგა მატყლის საგაზაფხულო დამზადებას. საზოგადოების წევრებს—დამმზადებლებს ეძლევა ავანსად 14 მანეთი ფუთზე. ერთი კვირის განმავლობაში დამზადებულ იქნა 200 ფუთი მატყლი.

## მესაქონლეთა ყრილობა

ახალსენაკში გაიხსნა დასავლეთ საქართველოს მესაქონლეთა ყრილობა. ყრილობის დღის წესრიგშია: საკითხი მესაქონლეობის გაუმჯობესების შესახებ დასავლეთ საქართველოში, საძოვრის საკითხი და გამგეობის მოხსენება.

# ჯაშუში ბერები ანუ ხატების გასამხედროება

გამიგია მღვდლების, ბერების და მლოცველების ლოცვა,
ვედრება ღვთისადმი
სულის საცხონებლად საიქიოს.

ეს ასეც იყო წინათ.

ბერი, მოკალათებული თავის მყუდრო მონასტრის საკანში ლოცულობდა, ავედრებდა ღმერთს ამა ქვეყნის ძლიერთ და თან
არალეგალურად აძრობდა ტყავს „სამწყსოსს“.

აი, ქალაქი ადესა.

უეჭველია აქაც იყვნენ და არიან ეხლაც კანტი კუნტათ ბერები.

ჰქონდათ ერთხელ მათ მონასტერი.

ეხლა ამ მონასტერში ბავშთა თავშესაფარია.

რა ექნათ ბერებს?

„ხერხი სჯობია ღონესა“.

მონასტრიდან გამოტანილ ჯვრებით და ხატებით
მოაწყვეს საიდუმლო საყდარი.

ეს საყდარი არ იყო არსად გატარებული
რეგისტრაციაში.

ლოცულობდნენ ბერები, მხოლოდ ნიხრი
ლოცვაზე ძალიან დიდი იყო.

მიაგნეს საყდარს. ვინ დაემალება
„ჩეკა“-ს?

მიათვალ-მოათვალიერეს „საყდარი“,
შეიხედეს საკურთხეველშიაც.
ხატები თავის ადგილას,
სახარებაც,
ბარძიმ ფეშხუმიც.

„საყდარი“ საყდარს ჰგავდა.

„ჩეკა“ ს ყურადღება მიიპყრო ერთმა ხატმა,
რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა თითქოს
რაღაცის ემინიანო.

გაჩხრიკეს ხატიც.

და იცით რა აღმოაჩნდა „წმინდანს“?

სამხედრო გეგმები, მიწერმოწერა
თეთრგვარდიელთა მისიასთან სერბიაში.

ნახეთ, ბერების გამჭრიახობა არ უნდათ ჩამოჩრნენ ცხოვრების სვლას.

ყველგან ისმის „გასამხედროება მცხოვრებლების“
და მათ მოისურვეს თავისებურად წმინდა ხატების გასამხედროება.

ჩააბარეს ხატს შესანახად საიდუმლო სამხედრო ხასიათის ქაღალდები.

უეჭველია, რომ ეს ჯაშუში ბერები ეხლა იმყოფებიან იქ, სადაც განისვენებენ კონტრრევოლიუციის „წმინდანები“.

საბრალონი, ვერ დაესწრებიან აღდგომას,
ვერ იგემებენ გემრიელ
პასკას და მსუქან ღორის
„ვიჩინას“.

ი—ა.

# მოხსენებები ქ. დივიზიის ცენტრ. კლუბში

ორშაბათს, 26 აპრილს, საღამოს 18 (საღამ. 6) საათზე ქართულ დივიზიების ცენტრალურ კლუბში (რუსთაველის პროსპექტი, მცირე წითელი თეატრი) დანიშნულია ტფილისის გარნიზონის სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების გაერთიანების წევრთა ღია კრება.

**დღის წესრიგი:**

1. სამხედრო სამეცნიერო საზოგადოების პირველი საკავშირო ყრილობის ანგარიშები (მოხსენება—ამხ. ეჯიკოვის, თანამოხსენება—ამხ. მენჩუკოვის).

ნაწილების სამხედრო სამეცნიერო წრეების, სამართველოს, უმაღლეს სასწავლებლების და სამხედრო ცოდნათა წრის წარმომადგენელთა **დასწრება სავალდებულოა.**

**მიწვეული არიან:** ტფილისის გარნიზონის მეთაურთა, პოლიტიკური, საადმინისტრაციო, საექიმო და სავეტერინარო შემადგენლობა,

მიწვეული არიან **პარტიის,** კომკავშირის, პროფესიონალური, პოლიტიკურ—საგანმანათლებლო და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები.

გარნიზონის **სამხ. სამეც. საზ—ს საბჭოს პრეზიდიუმი.**

# ბრძოლა მთიან ადგილებში

მთიან ადგილებში საბრძოლო მოქმედების დროს ძნელია აგრეთვე ბრძანებების და განკარგულებების გადაცემა. ტელეფონის ხაზის გაყვანა მთის ბილიკების გასწვრივ მეტად ძნელიც არის და მასთან ჩქარა ფუჭდება. ცხენოსნები, მოტოციკლები და სხვა კავშირის საშვალებანიც ხშირად ვერ შეასრულებენ ამოცანას.

ქვეითი კავშირის მეომარი კი, როდესაც ბილიკებზე ჯარის მოძრაობაა და ის გაჭედილია, მეტის მეტ სინელით შეასრულებს ამოცანას, ვინაიდან მისი მოძრაობა იქნება ძლიერ ნელი. ამისათვის უფროს ხელმძღვანელმა ხშირად უნდა გასცეს ისეთი საერთო განკარგულებანი, რომელნიც მისცემენ საშვალებას ცალკე ნაწილების მეთაურებს შეიგნონ ამოცანის საერთო აზრი და იმოქმედონ საკუთრივ მიზანშეწონილად. ეს თავის მხრივ მოითხოვს პირველად—უმცროს მეთაურების კეთილსინდისიერობას, მომზადებას და მეორედ უფროსის მიერ თავის ხელქვეით მეთაურების ზედმიწევნით კარგად ცოდნას, ცოდნას არა მარტო მისი სამხედრო მომზადების, არამედ მისი ხასიათის და თვისებებისაც კი.

მთებში ყოველივე მოძრაობა ვაკეზე მოძრაობასთან შედარებით ხდება გაცილებით ნელა, განსაკუთრებით როდესაც ვმოძრაობთ ცალედი რაზმეულით, ან ორედი რაზმეულით ეგრედ წოდებული „სამთო რაზმეული“. რაზმეულის სიგრძე თავიდან ბოლომდი მეტად დიდდება, აქედან გაშლა კედაროსი გვიანდება, ნაკლებ სისწრაფით ხდება. გამოყოფა კერძო რაზმეულის ან ჯგუფების (მაგ. ტყვიამფრქვევის, არტილერიის) და სხვა შეუძლებელი ხდება.

ხშირად მოხდება, რომ უმცროს მეთაურთან პირადი შეხვედრა ძნელდება ან მისი გამოძახება პირადათ ბრძანების ან განკარგულების გადასაცემად დიდ სიძნელეს წარმოადგენს. ამისათვის მთავარ გეზების დანიშვნა და ბრძანებები უნდა იყოს მეტის სიმტკიცით მოფიქრებული კერძო განკარგულებათა ფორმაში. სალაშქრო ტალა არ იქნება თავის დროზე გამაგრებული უმთავრესი ძალის მხრივ; ამიტომ ისინი უნდა იყვნენ (თანაბრად შედგენილი და შედარებით უფრო ძლიერნი, ვიდრე ამას ჩვენ საერთოდ ვაკეზე ვახდენთ. ადგილობრივ საგნების დაკავებას აქ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რაიც ხშირად წილათ ხვდება „სალაშქრო ტალას“ მაგ. დაკავება უღელტეხილის, დამცქერი მაღლობისა და სხვა ასეთების.

მოულოდნელ დაცემისათვის მთაში მიმავალი რაზმეულები უფრო სუსტნი არიან, ვიდრე ვაკეზე, რაიც გვიკარნახებს ტალას ნაწილების უფრო დაწინაურებას უმთავრეს რაზმეულისაგან და ამ უკანასკნელის მოძრაობას კი ზღუდიდან ზღუდამდის. თავის თავად ცხადია, რომ ყოველივე ეს მოითხოვს მეტი დროის დაკარგვას, მაგრამ ეს აუცილებელია.

დაზვერვა უმეტეს შემთხვევაში უფრო ხელსაყრელია ავიაციით, ან პატარა ქვეითა პარტიებით, რომელიც უნდა შესდგებოდეს ყოველგვარ ჯარის ნაწილიდან (ტყვიამფრ). ვინაიდან მტრის ფარეშების გვერდის ავლა შეუძლებელია ან თხოულობს დიდ დროს, ამისათვის მზვერავი პარტიის შემადგენლობაც ისეთი უნდა იყოს, რომ მას ბრძოლით შეეძლოს გზის გაკაფვა.

მათი ბრძოლის უნარის შენარჩუნებას და იმათგან სათანადო ცნობების მიღებას დიდ სამსახურს გაუწევს კავშირის (ტეხნიკა) საშვალების მიცემა. ჯერგვას, მოხილვას ადგილმდებარეობის, გზების და სათვალყურო ადგილისას დიდი მნიშვნელობა ექნება. მოგერიება შესაძლებელია გატარდეს ჯგუფურად. უფრო საფრთხეს წარმოადგენს წერტები, როგორიც არის უღელტეხილი, უნაგირა და სხვა, რომლებზედაც მტრის მხრივ მოდის მისავლები სიმაღლეებისა და ქედების, ესენი უნდა გადაქცეული იქნენ დასაყრდნობ წერტებად ირგვლივი მოგერიებით.

დ. მ.

# ჩვენი პარტიის და კომკავშირის ცხოვრება

## ახ. კ. კ. მუშაობა უპარტიოთა შორის.

(1-ლი არტ-ლეგიონი.)

კ. კავშირის ერთ უდიდეს ამოცანას სამხედრო ნაწილებში შეადგენს უპარტიო წ/არმიელებს შორის მუშაობა. ამ ამოცანას სერიოზულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ნაწილის ახ. ლ. კ. კავშირის ორგანიზაცია, რათა მთელი საუკეთესო ნაწილი მშრომელი წ/არმიელებისა იქნეს შემოკრებილი ჩვენი ორგანიზაციის ირგვლივ. როგორც საერთოდ სამხედრო ნაწილებში, ისე ჩვენს საარტილერიო ლეგიონშიც არსებობს ლენ-კუთხეები, სადაც არის ჩამოყალიბებული სხვა და სხვა ბირთვები; მათ მუშაობაში ჩაბმულია, როგორც ახ. ლ.კ.კ. წევრები, აგრეთვე უპარტიო წ/არმიელებიც. არსებობს აგრეთვე საკლუბო წრეები, რომლებშიაც ჩაბმულია დიდი ნაწილი წ/არმიელებისა. ბირთვების მუშაობას დიდ დახმარებას უწევს კ. კ. ჯგუფები, რაც გამოიხატება სხვა და სხვა თემებზე საუბრების ჩატარებაში და საერთო ხელმძღვანელობაში. ასე რომ ყოველივე ამ ბირთვების და საკლუბო წრეების საშუალებით შესაძლებელი ხდება ჩვენს ნაწილში მთელი კადრი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობისა შემოკრებილ იქნეს კომკავშირის ორგანიზაციის ირგვლივ, რომლებიც უკანასკნელ დემობილიზაციის დროს სრულიად შეგნებული დაუბრუნდებიან თავიანთ სოფლებს და ხელს შეუწყობენ ადგილებზე სოფლის კულტურულ მუშაობას. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენმა კ.კ ორგანიზაციამ ჯერ-ჯერობით ვერ შესძლო უპარტიო ახალგაზრდობის შორის მუშაობის მთელი ასი პროცენტით შესრულება, რაც უნდა მიეწეროს იმას, რომ არ მოგვეპოება სათანადო პოპულიარულ ენაზე დაწერილი ლიტერატურა, რის გამო ჩვენი სამხედრო ნაწილის კ.კ. ორგანიზაცია ხშირად მოიკოჭლებს. ამისთვის აუცილებელ საჭიროებას შეადგენს, რომ ეს საკითხი მოგვარებული იქნეს, სათანადო ლიტერატურის მიწოდებით სამხედრო ნაწილების კ.კ. ორგანიზაციებზე.

სამხკორი გიგინეიშვილი.

# ჩვენი კომკავშირის ცხოვრება.

1-ლი ლეგიონის 1-ლი ასეული.

ამ ერთი კვირის წინად ჩვენს ასეულში გაიხსნა კომკავშირის ჯგუფის მორიგი კრება. კრებას დაესწრო 9 იანვრის სახელობის სამოქალაქო ორგანიზაციის კომკავშირელები.

1-ლი საკავშირო სკოლის ხელმძღვანელმა ამხ. სიდამონ მოხსენება გააკეთა სკოლის მუშაობის შესახებ. მომხსენებელმა დაწვრილებით გააცნო კრებას სკოლის მუშაობის მიღწევები და ნაკლი.

შემდეგ ასეულის კომკავშირის მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ბურჯანაძემ. მოხსენების გარშემო იყო მრავალი შეკითხვა, რაზედაც და[...] მაკმაყოფილებელი პასუხი გა[...]ცა მომხსენებელმა. საკითხ[...] გარშემო შეტანილ იქნა სი[...]ყვიერი და წერილობითი წი[...]ნადადებები მომავალი მუშაო[...]ბის შესახებ.

კომკავშირის ორგანიზატო[...]რად, როგორც ენერგიულ[...] მუშაკი, ხელახლად არჩეულ[...] იქნა ამხ. ბურჯანაძე.

დასასრულ გარჩეულ იქნ[...] რამოდენიმე ამხანაგის განცხა[...]დება,—შუამდგომლობა პარ[...]ტიაში მიღების შესახებ.

სამხკორი ა. დეისაძე.

# ინდოელების და მუსულმანების სისხლის ღვრა კალკუტაში

ინდოელებსა და მუსულმანებს ურთიერთ შორის შუღლი და სიძულვილი ძალიან ძველი ამბავია. ამ უთანხმოებას ხშირათ იყენებს ინგლისი თავისი იმპერიალისტური მიზნებისათვის; ინდოეთში ამ უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ხშირათ ხდებოდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე უთანხმოება, რასაც ბევრჯერ მოყოლია საშინელი სისხლის ღვრა და რომლის წამქეზებელი ყოველთვის ყოფილა ადგილობრივი ინგლისის ხელისუფლება.

ინდოეთში მუსულმანური უმცირესობა 70 მილ. აღწევს, ინდოელები კი—200 მილ. პირველად ინგლისელებმა ჩამოაგდეს დახავსებული მუსულმანების ხელისუფლება ინდოელების საშვალებით, შემდეგ ინგლისელებმა შესცვალეს თავისი პოლიტიკა. ისინი მოევლინენ მფარველად მუსულმანებს მათზე ინდოელების შესაძლებელი გაბატონების წინააღმდეგ. ინგლისელები მეტ უპირატესობას აძლევდა მუსულმანების ინტელიგენციას. ამ პოლიტიკის შედეგი იყო, რომ მუსულმან საზოგადოებრივ წრეებს ყოველთვის შორს ეჭირათ თავი და მონაწილეობას არ ღებულობდა ინდოეთის ეროვნულ მოძრაობაში. ამის გამო იყო, რომ ინგლისი ანგარიშს არ უწევდა ინდოეთის ეროვნულ მოთხოვნილებებს, ვინაიდან ის არ მიაჩნდა მას მთელი ერის სურვილის გამოხატულებათ. ამ ნიადაგზე მოეწყო ინდოეთის მუსულმანთა კავშირი, რომელსაც მფარველობდა ინგლისი, და რომელიც წარმოადგენდა ეროვნული ყრილობის გამოძახილს და სთვლიდა თავის თავს ერის წარმომადგენლად.

ინდოეთის ნაციონალიზმის რეაქციონურმა ხასიათმა მნიშვნელოვანად გაუადვილა ინგლისს გატარება თავისი იმპერიალისტური პოლიტიკა. მან გაუძლიერა სარწმუნოებრივი გრძნობა მუსულმანებს, რომელნიც პირველ ხანებში თავიანთ თავს სთვლიდენ მუსულმანებათ და არა ინდოელებათ. ინგლისს ყოველთვის შეეძლო მუსულმან მოლების (მუსულმან მღვდლების) საშვალებით გაეღიზიანებია ინდოელების ეროვნული თავმოყვარეობა.

ეს სამწუხარო მოვლენა ცოტათი შეიცვალა მსოფლიო ომის დაწყებისას, როდესაც ინდოეთის კაპიტალიზმმა იწყო სწრაფი განვითარება. ეკონომიურმა განვითარებამ ინდოეთის ბურჟუაზიას დაავიწყა სარწმუნოებრივი უთანხმოებანი. დაახლოვებით 1916 წ. ორივე მხარის ეროვნულმა მიმართულებამ გამონახა საერთო ენა და გაერთიანდა მუსულმან—ინდოეთის ბურჟუაზია, რომელმაც წამოაყენა მოთხოვნილებათ თვითმმართველობა და ფინანსიური დამოუკიდებლობა.

ინგლისის იმპერიალიზმმა გამონახა საშვალება და 1919 წ. ინდოეთის მცხოვრებთა 2 პრ. მისცა შეკვეცილი საარჩევნო უფლება, რომელიც გულისხმობდა ქალაქის თვითმმართველობაში წარმომადგენლობის დაწესებას. ამ არჩევნების უარყოფითი მხარეები პირველათ ვერ იყო შემჩნეული ეროვნულ მოძრაობის გაფართოებით ომის უკანასკნელ ხანაში.

ინდოელების ეროვნული პროგრამა, რომელიც შეიცავდა ყველა მაჰმადიანების გაერთიანებას, შეიქმნა მოჩვენებითი მთლიანობა ინდოელებისა და მუსულმანებისა. ამან გააღიზიანა მუსულმანების ეროვნული გრძნობა იმ მუსულმანების მიმართ, რომელნიც იყვნენ ინდოეთის გარეთ. მაჰმადიანების ამ გაერთიანების დამარცხების შემდეგ უწინდებურად სარწმუნოებრივ გატაცებამ ითამაშა მეტათ სამწუხარო როლი მათ შორის.

მაგრამ ამის შესახებ შემდეგ.

გ. თ.

# საკითხები დაუგვიანებლად ირჩევ[...]

მე-2 ტერ-არტლეგიონი.

კარგად სწარმოებს მუშაობა ჩვენს ნაწილში.

კვირაში ერთხელ იმართება კომუჯრედის კრება; აქტიურად მონაწილეობენ როგორც პარტიის, ისე ახკომკავშირის წევრები. საკითხების გარჩევა არ იგვიანებს, და თავის დროზე ისმება გადასაჭრელად. ხშირად შემოდის პარტიის კანდიდატად გადარიცხვის განცხადებები, რაც იმის დამამტკიცებელია, რომ წითელარმიელთა მასებში ენერგიული ლტოლვ[...] პარტიის რიგებისაკენ.

კვირაში ერთხელ მიმდინ[...]არეობს პარტსკოლის მეცად[...]ნეობა, სადაც პარტ-ამხანაგებ[...] დახმარებით მონაწილეობას ღ[...]ბულობენ უპარტიო ამხანაგ[...]ბიც.

კომკავშირის ჯგუფის კრე[...] იმართება ორ კვირაში ერ[...]ხელ.

წ.ა. პ. ბურძაძე.

# ვემზადებით 1-ლი მაისისათვის.

1-ლი ქ. ცხენ. ლეგიონი.

პირველ ესკადრონში შესდგა ახკომკავშირის ჯგუფის დახურული კრება. გაშუქებულ იქნა ამიერ-კავკასიის კომკავშირის მე-4 ყრილობის ანგარიშები. მოხსენება დიდის ინტერესით ჩატარდა. იყო მრავალი შეკითხვები.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო პირველი მაისის დღესასწაულის წარმოშობასა და მ[...] მნიშვნელობას საერთაშორის[...] მუშათა მოძრაობაში.

გარჩეულ იქნა 1-ლი მაი[...] საბჭოთა კავშირში და ცალ[...] —ბურჟუაზიულ ქვეყნებში.

დასასრულ გაირჩა მიმდინა[...] კითხვები.

სამხკორი პ. კახიძე.

# ჩვენი წითელი ჯარის ცხოვრება და მუშაობა.

## საუბარი დისციპლინაზე

მე-2 ლეგ. მე-2 ათასეული.

ამ რამოდენიმე ხნის წინად ...ენებულ ათასეულში გვეს...უმრა დივიზიის სამხედრო ...მისარი, რომელმაც გვესაუ...რა დისციპლინის შესახებ და ...უ როგორი სიმტკიცით ტა...დება ის საერთოდ მთელ დი...ზიაში. აღნიშნა დისციპლი...ის დარღვევის შემთხვევები, ...ისი ხასიათი და მრავალი სხვა, ...ის შემდეგ პირდაპირ გადავი...ა ჩვენს მოვალეობაზე. მან ...ზი გაუსვა თუ როგორ უნდა ...კიდებოდეს თითეული მოლა...ქრე ამ საქმეს და შეგნებუ...ად გრძნობდეს თავის ვალ-დებულებას. აგვიხსნა აგრეთვე როგორი სასჯელია გათვალის-წინებული დისციპლინის დარ-ღვევის თითეულ შემთხვევ სა-თვის. საუბარმა კარგი შთაბე-ჭდილება დასტოვა ათასეულის მთელ შემადგენლობაზე და ერთხმად იქნა მიღებული რე-ზოლიუცია, რომ მტკიცედ შეუდგებიან სამხედრო ვალდე-ბულებათა შესრულებას.

ამის შემდეგ ამხანაგმა ცა-ლკე ჩაატარა აგრეთვე საუბა-რი ათასეულის საშვალო მეთა-ურებთან.

სამხკორი ი. მარინავა.

## ლენკუთხე ამართლებს იმედებს.

მე-5 ლეგ. მე-2 ათასეული.

ათასეულის ლენკუთხე სავსებით ამართლებს მასზე და-ვალებულ საქმეს. იქ წარმოებული მუშაობა დიდ გამოხმაუ-რებას პოულობს წითელ არმიელებში. ყოველ საღამოობით იმართება კუთხეში საუბრები და ხმამაღალი კითხვა. კუთხეში ტარდება თითქმის ყველა მორიგი კამპანიები. ჩატარებული იქნა საუბარი ამას წინად ლენის დახვრეტის შესახებ. წითელ არმიელებს დაწვრილებით გაეცნო ლენის ამბები. იყო მრავა-ლი შეკითხვები. საერთოდ ამ საუბარმა, როგორც სხვამ, დი-დი შთაბეჭდილება მოახდინა წითელ არმიელებზე.

სამხკორი ვ. ნოზაძე.

## საუბრები სისტემატიურად ტარდება

მე-5 ლეგ. მეორე ათასეული.

ათასეულის ლენკუთხეში სისტემატიურად მიმდინარეობს საუბრები სხვა და სხვა საყურადღებო საკითხების შესახებ, რომელშიდაც აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ წითელ არმიელები.

ამას წინად ჩავატარეთ საუბარი ლენინის მოღვაწეობაზე, რამაც ცხოველი ინტერესი გამოიწვია წითელ არმიელებში. მრავალი საყურადღებო მომენტები გაეცნო წითელ არმიე-ლებს დიდი ბელადის ცხოვრებიდან. წითელ არმიელები აძ-ლევდენ შეკითხვებს. ყველას ეინტერესებოდა იმ კაცის ცხო-ვრების დაწვრილებით გაგება, რომელმაც შეარყია მთელი მსოფლიო და მონობისგან განთავისუფლების მიზნით დარაზმა მშრომელთა რაზმები.

სამხკორი ვ. ნოზაძე.

## ფელეტონები

(სამხკორთა წერილებიდან)

### ამბავი უცნაურზე—უცნაური.

„დიდ არს სახელი შენი უფალო და
მიუწდომელნი საქმენი შენნი“.

რა არა ხდება ამ ქვეყნათ! რას არ იხილავს ადამიანის თვალი!

მიიხედ—მოიხედე; განა ქვეყანა ჰგავს იმას, რაც იყო ამ რამოდენიმე წლის წინათ? არა და არა.

მაგრამ, რაც ხდება მე-2-ე ცალკე მესანგრე ასეულის ბი-ბლიოთეკაში, ეს უცნაურზე უცნაურია.

ამას ვერ შეედრება ვერც „ზაჰესი“, ვერც ამუნდსენის გა-ფრენა ჩრდილო პოლიუსის აღმოსაჩენათ.

„არ მაქვს ნასკი, არცა ჩულქი
გაზეთს ვიხვევ ფეხებზედა“

წაიმღერებს ბიბგამგე და იხვევს ფეხებზედ გაზეთებს, ესე დღეში 4—5 ცალს. ხომ იცით, ქაღალდი საერთოდ არ არის გამძლე და მალე იხევა.

— ამხანაგო ბიბგამგე, მომეცი გაზეთი ამოვიკითხავ ჩი-ნეთის ამბებს.

— რის გაზეთი, რა ჩინეთის ამბები. ვერა ხედავ გაზე-თი „პარტიანკის“ საქმეს ასრულებს?

### ექიმი და მე-2-ე ლეგიონის მე-2-ე ათასეული.

(პასუხად „მნახველს“)

ძვირფასო „მნახველო“!

რედაქციამ მიიღო თქვენ მიერ გამოგზავნილი წერილი. წერილი დაწერილია კოხტა ენით და, როგორც თქვენც კა-რგათ მოგეხსენებათ, ეხება სანიტარულ—სამედიცინო საკით-ხებს.

ექიმი (რომელსაც თქვენ სასტიკად ბრალსა სდებთ და ამბობთ არც კი მოდის ათასეულშიო) ალბად სისტემატიუ-რად დაიარება; ვინაიდან ამბობთ, რომ იგი ატარებს თავის საათებს.

კაცო, ასეთი შეცდომა როდი უნდა მოგივიდეს.

მერე, ექიმი კი არ არის ვალდებული, რომ ყაზარმაში სისუფთავე დაიცვას. სისუფთავე იმან უნდა დაიცვას, ვინც ყაზარმაში სცხოვრობს და კარგად დაუგდოს ყური ექიმის და-რიგებას.

თორემ, თუ ექიმმა ერთი თქვას და თქვენ წინააღმდეგი გააკეთოთ, ეს გამოვა, როგორც თქვენ თითონ ბრძანებთ „წყლის ნაყვა“.

თქვენი წერილიდან მე კერძოთ, ისეთი შთაბეჭდილება გამოვიტანე, რომ თქვენ ძალიან კარგათ გქონიათ შეთვისე-ბული მედიცინა და ერკვევით ამ დარგში მეცნიერებისა.

გირჩევთ, აღძრათ შუამდგომლობა, რომ დაგნიშნონ ექი-მათ მე-2 ათასეულში.

ელეაზარი.

## ვემზადებით საბანაკოთ.

მეორე ლეგ. ბატარეია,

ნაწილში სისტემატიური ხასიათი აქვს წითელ არმიელე-...თან მეცადინეობას. სამხედრო საქმის გარდა, რომელსაც ...დიდესი ყურადღება აქვს მიქცეული, როგორც წითელ არ-...იელების, ისე მეთაურებისგან, ენერგიულად სწარმოებს ...უშაობა პოლიტკულტგანმანათლებელ დარგებში. განსაკუთ-...ებით დიდი ყურადღება ექცევა ამას უკანასკნელ ხანებში, ...ადგან გათვალისწინებულია საბანაკო ცხოვრება, ადგილობ-...ივ მოსახლეობასთან დამოკიდებულება, მათთან მუშაობის წა-...მოება და სხვა. საამისო სამზადისი კარგა ხანია დაიწ-...ო წითელ არმიელები სიხარულით მოელიან ბანაკში გასვლას.

სამხკორი შ. რევიშვილი.

## ჩვენც ვემზადებით

მე 3 ლეგიონი

10 აპრილიდან ნაწილში და-...წყო მზადება ბანაკში გასას-...ლელად. ლეგიონის ნაწილე-...ბიდან იქნა გამოყოფილი წი-...ელ არმიელები და მეთაურე-...ი, რომლებიც იქნენ გაგზავ-...ილი ბანაკში ადგილის ამოსა-...რჩევათ და ბინების მოსაწყო-...ად. ამჟამად საგაზაფხულო პრ-...გრამაა. მის გავლის დროს ...მთავრესი ყურადღება იქნა ...ქცეული წითელ არმიელების ...რაქტიკულათ აღზრდაზე, რომ ...მავალ მანევრებზე არ ექნეს იმ ფაქტებს ადგილი, რომელ-საც ქონდა გასულ მანევრებზე. ხშირად გადიან მახლობელ ვე-ლებში პრაქტიკის მისაღებათ. ამჟამათ ნაწილში სწარმოებს გაცხოველებული მუშაობა და სამზადისი ბანაკის მოსაწყო-ბათ.

ლეგიონს ბანაკად გასვლამ-დე განზრახული აქვს 4 მაისი-სათვის მოაწყოს პატარა მანევ-რები.

სამხკორი ბ. იოსელიანი.

## როგორ უხლოვდებით მუშებს

მე-5 ლეგ. მე-9 ასეული.

ჩვენს ასეულს კავშირი აქვს ...ლაქის მუშების სხვა და სხვა ...რგანიზაციებთან. სანაპირო ...რტელის მუშებს გაუხსენით ...მას წინად სამხედრო კუთხე, ...ომელიც საუკეთესოდ მოვა-...წყვეთ პლაკატებით, დიაგრამე-...ბით და სხვა აუცილებელი სა-...ნებით. კუთხეში მოთავსებუ-...ლია სხვა და სხვა ტიპის ია-...რაღები. დაშლილი თოფის ნა-...წილების ელექტრონის სინათ-...ლით ნათდება და იწერება ...მათი სახელები შუქითვე ავ-...ტომატიურად. მუშები დიდი აღფრთოვანებით შეეგებენ კუ-თხის მოწყობას. მთელ თავი-სუფალ დროს იქ ატარებენ და ეცნობიან იარაღებს, სამხედ-რო საქმეს, უსმენენ ასეულის მეთაურების მიერ წარმოებულ ლექციებს, საუბრებსა და სხვა. ხშირად ეწყობა იქვე სამხედრო ლატარია. მუშები დიდ მონა-წილეობას ღებულობენ ამა-შიც. საერთოდ ასეული დიდი ყურადღებით ეკიდება მუშებ-თან კავშირის საქმეს.

სამხკორი აჭარელი.

## მალე გამოუშვებთ მომზადებულ წითელ არმიელებს

ცხენ. ლეგიონი

ამ მოკლე ხანში ლეგიონში ...დაიწყება წერა-კითხვის უცო-...დინარ (ამ ჟამად მცოდნე) წი-...თელ არმიელების გამოცდები. ...ნაწილში მოსვლის დღიდანვე ...აყვანილი იქნენ აღრიცხვაზე ...წერა-კითხვის უცოდინარი ამ-...ხანაგები და დაიწყო მათთან ...მეცადინეობა, რომელიც დღემ-...დე გრძელდებოდა.

ამ ჟამად კი დანიშნულია ...გამოცდები, თუ რამდენად შე-ვსძლით ამხანაგების მომზადე-ბა. წითელ არმიელები გულ-მოდგინეთ ეკიდებიან გავლი-ლის გამეორებას. ყველას უნ-და თავი ისახელოს. ჯგუფების ხელმძღვანელებიც ენერგიუ-ლად ეკიდებიან მათთან მუ-შაობას.

იმედია, რომ ეს გამოცდები კარგი შედეგების წინაშე დაგ-ვაყენებს.

სამხკორ პ. კ ხიძე.

## პოლიტ-მეცადინეობა ჩვენს ნაწი-ლში.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეული

ჩვენი ნაწილი დივიზიის სხვა ნაწილებთან შედარებით გან-სხვავებული—სპეციფიური თვი-სებებით ხასიათდება. წითელ არმიელების უმეტესობა საშუ-ალო განათლებითაა, რაც ჰქმ-ნის კულტ-პოლიტ-საგანმანათ-ლებლო მუშაობის განსაკუთ-რებულ პირობებს.

წ. არმიელთა აუდიტორიის საკმაოდ მომზადება, ყოველ-გვარ სერიოზულ კითხვის გა-რშემო მასსიური ამოქმედება —აი რა ახასიათებს 1-ლ ცა-ლკე საკავშირო ასეულის მთ-ლიან შემადგენლობას.

ნაწილში პოლიტ-სასკოლო მუშაობა მიმდინარეობს ორ-წლიანი პროგრამით. საზამთრო პერიოდის პროგრამების დამუ-შავება დამთავრდება აპრილის თვის დამლევამდი.

პოლიტ-მეცადინეობის მიზა-ნი, ხასიათი და მეთოდები შე-ფერებულია აუდიტორიის მო-მზადებასთან. პოლიტ-მეცადი-ნეობის დროს ერთფეროვნება თავიდან აუცილებულია, სხვა და სხვა აქტიური მეთოდებით უდგებით მის ჩატარებას.

ორწლიანი პროგრამის თე-მების უმთავრესი თვისება და ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ ის მოქნილია და შეგვი-ძლია საჭიროებისამებრ გამო-ვიყენოთ საშვალო ცოდნის წითელ არმიელებთანაც, მივა-წოდოთ მათთვის ახალი და საინტერესო ცნობები; ხოლო როდესაც უცოდინარ, მოუმზა-დებელ წ. არმიელებთან გვაქვს საქმე, იგივე თემა შეგვიძლია გავამარტივოთ და სრულიად ად-ვილი მისაწდომი გავხადოთ მა თთვის.

საზამთრო პერიოდისთვის მოცემულ თემების შესწავლას ასულდგმულებდა XIV-ტე პა-რტყრილობა. ასეთი თემები, როგორიცაა: „საბჭოთა ხელის-უფლების მშენებლობა“, „ჩვე-ნი სასოფლო მეურნეობა“, „ჩვენი სოციალისტური მრე-წველობა“, „მუშების და გლე-ხების კავშირი“ და სხვა, საუ-კეთესო გამტარებელნი გახდენ XIV-ტე პარტყრილობის გადა-წყვეტილებების. ასეთი თემების დამუშავებით ჩვენი ნაწილის წ. არმიელებმა საუცხოვოთ შეითვისეს XIV-ტე პარტყრი-ლობის თითქმის ყოველი დე-ტალი და დიდ ინტერესსაც იწვევდა მათში.

ყოველი კარის გავლის შე-მდეგ, ჩვენ ვახდენთ ამ კარში მოცემულ ყველა თემების გა-ერთიანებას, მათ ორგანიულ დაკავშირებას. ასეთი მუშაობის დროს ხდება კოლექტიურად კონსპექტის შედგენა და წი-თელ არმიელები ერთ მთლიან მოხსენებას აკეთებენ მთელ კა-რზე. აუდიტორია აძლევს მო-მხსენებელს შეკითხვებს და მო-ხსენება დამთავრებულ სახეს ღებულობს. ასეთნაირად დამუ-შავებული მასალა წ. არმიელ-ებს არ ავიწყდებათ და ამავე დროს ორ-წლიანი პროგრამა წარმოდგენილი აქვთ ერთ ორ-განიულ სისტემად.

დიდ ხალისს და აუდიტო-რიის თვითმოქმედებას იწვევს ჩვენ ნაწილში პერიოდულად მოწყობილი, განვლილი მასა-ლის გარშემო—კითხვა-პასუ-ხიანი მეცადინეობა. წინასწარ გაიყოფა ჯგუფი ორ ნაწილად. ჯგუფის ერთი ნაწილი აძლევს —მეორე ნაწილს შეკითხვებს და პირიქით (მხოლოდ გან-ვლილ მასალიდან) ამ შემთხვე-ვაში წ. არმიელების მთელი შემოქმედებითი უნარიანობა დაჭიმულია. ისინი ცდილობენ შეკითხვებით დაიჭირონ ერთ-მანეთი ან მოცემულ შეკით-ხვებს სწორი პასუხი გასცენ.

ყველა ზემოდაღნიშნულ მუ-შაობის შინაარსისა და ფორმის მიუხედავად პოლიტ-სასკოლო მეცადინეობა მაინც ვერ აკმა-ყოფილებს ჩვენი ნაწილის წი-თელ არმიელებს. მათ კიდევ სწყურიათ ისეთ კითხვებზე წა-რმოდგენის შექმნა, რაც სრუ-ლიად არ არის გათვალისწინე-ბული ორ-წლიან პროგრამაში. ისინი მოითხოვენ, არა მიღე-ბულ ცოდნასთან დაბრუნებას, არამედ—მის კიდევ უფრო მე-ტად გაღრმავებას, გაგრძელე-ბას.

საშუალო განათლების წ. არმიელების ამ მოთხოვნილე-ბას აუცილებლად ანგარიში უნდა გაეწიოს და უნდა შევა-ფასოთ თუ რამდენად აკმაყო-ფილებს მათ ამჟამად ჩვენს ნა-წილებში წარმოებული კულტ-პოლიტ-საგანმანათლებლო მუ-შაობა. უკანასკნელ ხანებში ჩვენს ნაწილში წ. არმიელების ასეთ მისწრაფებამ თავისი გა-მოხატულება ჰპოვა სკოლის გარეშე მუშაობაში, მაგრამ უნ-და ითქვას, რომ სკოლის გა-რეშე მუშაობაში დიდი მიღწე-ვები მაინც არა გვაქვს და მუ-შაობა ჯერ კიდევ უფერულ სახეს ატარებს.

ასეთია ჩვენს ნაწილში პო-ლიტ-სასკოლო მეცადინეობის საერთო პირობები და მიღწე-ვები.

ო. ლაბარტყავა.

## ვინ იქნება შემდეგი?

ვიწერ გაზეთ „წითელ არმიელს“ სამი თვით და ვიწვევ შემდეგ ცვალებადელებს: 1)არჩილ თოლორიას, 2) ათანას გაბედავას, 3) დიმიტრი დარსანაიას (ზუგდ. მაზრა სოფ. კორეხი),

ცვ. წ. ა. რაჟდენ გაბედავა.

ვიწერ გაზეთ „წ. არმიელს“ სამი თვით და ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს:

1) 5-თე ტერ-ლეგიონის მე-9-რე ასეულიდან ოც. მეთ. დავით ჰავჰანიძეს, 2) ამავე ლეგიონის მე-6-სე ასეულიდან შარიქაძე ემელიანეს და დათიკო ნიჟარაძეს (ოც. მეთაურებს),

3) მე-6 ტერ-ლეგიონიდან ოც. მეთ. ენუქი ქანთარიას.

4) მე-4 ტერ-ლეგიონიდან ოც. მეთაურებს: ამხ. ამხ. 1) შალვა კუპრაშვილს, 2) აპოლონ ახვლედიანს და 3) ტაბიძე ევგენის.

გ. კუჭავა.

## მოსპეთ ნაკლულევანებანი

### სიბნელეში ვახშმობთ.

ცხენოსანი ლეგიონის სასადილოში ეს რამოდენიმე დღეა შესწყვიტეს ელექტრონით განათება. წითელ არმიელებს ყოველ საღამოობით ბნელაში გვიხდება ვახშმობა, რის გამო ხშირია შემთხვევა თეფშების დამტვრევის. ბნელაში ვერ ვარჩევთ, ხშირად ვეჯახებით ერთი მეორეს, რასაც მოსდევს ჩხუბიც.

დროა გამოგვიყვანონ ასეთი მდგომარეობიდან.

კომენდანტო, მოგვეცი განათება.

სამხკორი სიმონეთელი.

### ხელი გვეშლება.

ცხენ. ლეგიონის 1-ლი ესკადრონის ლენკუთხეში, სხვა გასართობებთან ერთად ნარდიც არის. სამწუხაროდ ზოგიერთი ამხანაგები პორტატთ იყენებენ მას. წარა-მარა იქ სხედან და განუწყვეტლივ თამაშობენ. მკითხველი წითელ არმიელები ვეღარ შედიან კუთხეში რომ რაიმე წაიკითხონ, მონარდეების ხმაური ამას შეუძლებლად ხდის.

რად არ აქცევს კუთხის გამგე ამას ყურადღებას?

სამხკორი ცეცხლი.

## მოხსენება სათემო ბიუჯეტზე.

### 1-ლი არტლეგიონი.

ლეგიონის ხელმძღვანელების თაოსნობით ამ უკანასკნელად ძლიერ გახშირდა ნაწილში სხვა და სხვა საინტერესო საკითხებზე მოხსენებების კითხვა. 19 აპრილს ჩატარებული იქნა საუბარი „სათემო ბიუჯეტის შესახებ“. საუბარი ჩაატარა ბისახკომისარიატის წარმომადგენელმა ხახანაშვილმა, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია წითელარმიელებში. ამხანაგმა დაწვრილებით გაარკვია საბჭოთა ხელისუფლების საგადასახადო პოლიტიკა და მისი დადებითი მხარეები. შეეხო საერთო სახელმწიფოს ბიუჯეტსაც, შემდეგ სათემო ბიუჯეტს და მის წყაროებს.

აღნიშნული იქნა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მნიშვნელობა, ვინ რამდენი უნდა გადაიხადოს, რად და ვის ხდება ეს გადასახადები.

ნაწილში როგორც აღვნიშნეთ ამ უკანასკნელად ძლიერ გახშირდა საუბრები საინტერესო თემებზე. წითელარმიელები მადლობას უცხადებენ ამხანაგებს, რომლებიც თაოსნობენ ასეთი საუბრების მოწყობას ლეგიონში.

სამხკორი ტ. მამალაძე.

## ამხ. ამხ. წითელარმიელებო გამოიწერეთ, და გაავრცელეთ თქვენი გაზეთი „წითელი არმიელი“

## სამხედრო ქრონიკა

### სამოქალაქო სკოლების გასამხედროება

საკავშირო რევოლიუციონურ სამხედრო საბჭოს მიერ გაცემულ იქნა საშუალებანი სამხედრო საქმის სწავლებისათვის სამოქალაქო ცხრაწლედებსა და მეორე საფეხურის სკოლებში.

ამასთან დაკავშირებით უმაღლეს სასწავლებლების სამმართველომ დაუგზავნა ოლქებს დაწვრილებითი მითითებანი სკოლებში სამხედრო სწავლების ჩატარების შესახებ.

უმაღლეს სასწავლებლების სამმართველო წინადადებას იძლევა დახმარება გაუწიონ პირველ რიგში იმ სკოლებს, რომლებმაც, ასე თუ ისე, უკვე დაიწყეს საკუთარი თაოსნობით გასამხედროების საქმე.

სკოლებში სამხედრო საქმის სწავლება, გარდა სკოლებში მეცადინეობისა, ითვალისწინებს საველე მეცადინეობასაც ზაფხულზე.

სკოლებში გასამხედროების საქმეზე მიწვეულ იქნება სამწყობრო ნაწილებისა და ნორმალურ სამხედრო მეთაურთა შემადგენლობა.

სკოლებში სპეციალურ სამხედრო კაბინეტების მოწყობისათვის მოსწავლეები ისარგებლებენ ადგილობრივ გარნიზონის სამწყობრო ნაწილებისა და მეთაურთა ნორმალურ სკოლების სამხედრო კაბინეტებით.

## სამხკორის კუთხე

### პასუხი შეკითხვებზე

კედლის გაზეთი არის ნაწილის პარტუჯრედის (ბიურო კოლექტივის) ორგანო და ატარებს უპარტიო წითელარმიელთა შორის პარტიის ხაზს. ეს გარემოება არკვევს სრულიად გაზეთის დანიშნულებას და აძლევს რედკოლეგიას მუშაობის გეზს.

გაზეთი აშუქებს უმთავრესად ნაწილის ცხოვრებას, აღნიშნავს ამა თუ იმ ნაწილის ცხოვრების ავ-კარგს, აქცევს ყურადღებას სწავლებას და წითელარმიელთა მიღწევებს. უეჭველია, რომ გაზეთი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც „წითელი“ და „შავი“ დაფა. შეგვიძლიან გავამათრახოთ ზარმაცი და ცუდი ყოფა-ქცევის არმიელი და აღვნიშნოთ მეცადინი და გულმოდგინე არმიელის მიღწევები. რედკოლეგიას, თუ კი აქვს სათანადო მასალა ამა თუ იმ წითელარმიელზე, მის ყოფა-ქცევაზე, უარყოფით ან დადებით მხარეებზე, შეუძლიან კედლის გაზეთში გამოაქვეყნოს ეს მასალები.

სამხედრო კომისარს იმდენათ აქვს დამოკიდებულება კედლის გაზეთთან, რამდენადაც იგი არის ხელმძღვანელი ნაწილის პარტიულ ცხოვრების.

ნაწილის ადმინისტრაციას არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ გაზეთთან. ადმინისტრაციის წარმომადგენლებს აქვთ უფლება: იყვენ გაზეთის თანამშრომლები და არჩეულნი რედკოლეგიაში.

—

გაზეთი „წითელი არმიელი“ აძლევს ჰონორარს ისეთ სამხკორებს, რომლებიც სისტემატიურად აწვდიან მასალას გაზეთს. ისეთ სამხკორს, რომელიც თვეში ორ ან ერთ წერილს მიაწვდის გაზეთს, უეჭველია ჰონორარი არ მიეცემა.

რაც შეეხება ქაღალდის, ფანქრების და კონვერტების შეძენას წერილის გადასაგზავნად რედაქციაში, ეს მასალა ყოველთვის შეუძლიან სამხკორს იპოვოს თავის ნაწილში. ამაზე მას უარს არავინ არ ეტყვის.

—ზ.

## უცხოეთის არმიებში

### ჩინეთის დამამშვიდებელნი იარაღდებიან

ქ. შანხაიში არის ინგლისის პოლიცია. შანხაიში მომხდარ მუშათა გაფიცვების დროს, ინგლისის პოლიცია მონაწილეობას ღებულობდა დემონსტრაციის დახვრეტაში. ინგლისის წარმომადგენელმა ჩინეთში განაცხადა, რომ პოლიცია ვერ არის სათანადოთ შეიარაღებული, ამის გამო გამოწერილი იქნა მოტოციკლეტები პოლიციელებისათვის. მოტოციკლეტი ისეთი სისტემის არის, რომ მასში თამამად თავსდება პოლიციელი ავტომატიური თოფით და ტყვიამფრქვევით შეიარაღებული. პოლიციას ასწავლიან მოტოციკლეტების და თოფების ხმარებას, რომ უფრო ადვილად შესძლონ მომავალში გაფიცულ შანხაელ მუშების განადგურება.

### იაპონიის არმიის დიდი მანევრები მანჯურიაში

იაპონიის სარდლობას განზრახული აქვს მიმდინარე წელში მოაწყოს თავისი არმიის დიდი მანევრები სამხრეთ მანჩჟურიასა და კორეიაში. ამის გამო აუარება იაპონიის ჯარები გადაყვთ მანჩჟურიაში.

ამით სურს იაპონიას გამოსცადოს ჯარების გადაყვანისთვის საზღვაო ტრანსპორტის მდგომარეობა.

ამ ჟამად მანევრების რაიონებში მიემგზავრება გენერალური შტაბიდან ოფიცრების მიერ შემდგარი სპეციალური კომისია წინასწარი მუშაობის საწარმოებლად.

ეს მანევრები უდიდესი მანევრები იქნება, რომელიც აქამდე მომხდარა იაპონიის არმიაში.

### ტყვიამფრქვევი ბატალიონები

საფრანგეთის და ბელგიის არმიების შემადგენლობაში უკანასკნელ ხანებში შექმნეს ტყვიამფრქვევი ბათალიონები. ჩვეულებრივ მსროლელ ნაწილებისაგან ისინი განსხვავდებიან მით, რომ ისინი შეიარაღებული არიან მსუბუქი და მძიმე ტყვიამფრქვებით.

ფრანგული ტყვიამფრქვევი ბათალიონი შეიარაღებულია 48 მძიმე და 36 მსუბუქი ტყვიამფრქვევებით, ბელგიის—72 მძიმე და 36 მსუბუქით. ბათალიონებში შედიან აგრეთვე მზვერავთა საკავშირო და მესანგრე ნაწილები.

აღნიშნულ ნაწილებს ევალებათ ბრძოლის დროს ცეცხლის საშვალებით თავდაცვა და ცეცხლით შეტევაზე გადასვლა მოწინაღმდეგეზე.

ტყვიამფრქვევთა ბათალიონი აუცილებლად ძლიერ ძალას წარმოადგენს, რადგან მის შემადგენლობაში შედის 400—600 მსროლელამდე, რომლებსაც შეუძლიათ გასწიონ 5000—7000 თოფით მსროლელის მაგიერობა.

ამნაირად მცირე რიცხოვან ნაწილს საჭიროების დროს შეუძლია დაიცვას საკმაოდ მოზრდილი სივრცის პოზიცია ან გადავიდეს შეტევაზე და შესცვალოს რამოდენიმე ლეგიონი.

მსოფლიო ომის დროს ინგლისელები ხშირად იყენებდენ ასეთნაირად შეიარაღებულ ნაწილებს.

## ახალი ამბები.

— **ქიმიური ლაბორატორია.** ჯანსახკომმა საზღვარ-გარეთიდან გამოიწერა ქიმიური ლაბორატორია მთელი მოწყობილობებით. ლაბორატორია ადგილობრივ დაამზადებს წამლეულობას.

— **ახალი პროსპექტი ტფილისში.** ტფ. აღმასკომმა დაადგინა გაიყვანოს ახალი ფართო გზა (პროსპექტი) ვერის ხიდიდან ვარანცოვის ხიდამდ მტკვარის მარჯვენა მხრით.

— **ქუჩებში მოძრაობა.** ტფ. აღმასკომი ქუჩებში გააკრავს აბრებს მოსიარულეთა სავალდებულო დადგენილებებით ქუჩაში სიარულის წესის შესახებ.

— **პირველი მაისიდან** რესპუბლიკის დაწესებულებებში მუშაობა იწარმოებს დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 2 ნახ. საათამდე.

## პასუხი სამხკორებს

**უვირილას** (4 ლეგ.) თქვენი წერილი „2 ათასეულის ნაკლზე“ გადაეგზავნა ლეგიონის სამხედრო კომისარს, რომელიც მიიღებს სათანადო ზომებს.

**მუხრანელს** (1-ლი ლეგ.) წერილი „ასეთი მოვლენა ხშირია“ გამოდგება ადგილობრივ კედლის გაზეთში. მოსთხოვეთ რედკოლეგიას დაბეჭდონ ის სათანადო კარიკატურით.

**პ. კილაძეს** (2 ლეგ. 2 ათასეული) კორესპონდენცია „გაქეჟილს გატეხილი სჯობს“ არ დაიბეჭდება. ასეთი შინაარსის კორესპონდენცია უკვე მოთავსდა ჩვენს გაზეთში, მეორედ აღარ დაიბეჭდება.

**შამს** თქვენი წერილი „დაუდევრობა“ გადაეგზავნა სამხედრო პროკურორს საქმის კვლევა ძიების მოსახდენად.

**აზიკუროვს** (2 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია ზემდეგის შესახებ არ დაიბეჭდება. უკეთესია მოიწეროთ ნაწილში წარმოებულ მუშაობისა, მიღწევებისა და ნაკლულოვანებების შესახებ.

**დეკანოსიძეს** (4 ლეგ.) თქვენი კორესპონდენცია „ხშირად ასეთი ექსკურსიები“ მეტად გაუგებარია. ვერ გავიგეთ სად იყავით და რა ნახეთ. საჭიროა უფრო გარკვევით სწეროთ, წინააღმდეგ შემთხვევაში არ დაიბეჭდება. არ დაიბეჭდება არც ლექსი მომავალი.

**ბ. კვაჭაძეს** თქვენი წერილი მილიციის დღესასწაულის შესახებ ჩვენთვის გამოუსადეგარია. მოგვაწოდეთ წერილები ნაწილის ცხოვრებიდან და რაც შეიძლება ხშირად.

**გიორგობიანს** (5 ლეგ.) წერილი ექსკურსიის შესახებ არ დაიბეჭდება. ასეთი იყო ჩვენს გაზეთში ერთხელ. საზოგადოთ უნდა ერიდოთ ერთდა იმავე საკითხზე რამოდენიმეჯერ კორესპონდენციის მოწოდებას.

## ვის აქვს საწინააღმდეგო?

1-ლ ქარ. მსრ. ლეგიონის მე-2 ასეულის კომ-უჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ. პარტ. კანდიდატებს: იაკინთე ვეფხვაძეს და ათის თავს ისიდორე სოფრომაძეს კომ. პარტ წევრებათ გადარიცხვის შესახებ.

თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ გვაცნობეთ მე-2 ასეულის კომუჯრედში ერთი კვირის განმავლობაში.

მე-2 ასეულის კომ. უჯრედი.

ქ. მ. დ. მე-2 ლეგ. მე-7 კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადებები პარტ. კანდიდატად დამტკიცებისათვის შემდეგ ამხანაგებს: 1)კუტუბიძე აკაკის, (კანდიდატი) თხოულობს პარტიის წევრად დამტკიცებას. 2) ჩოჩელი იოსებ (უპარტიო წ. ა.) თხოულობს კანდიდატად დამტკიცებას. ამხანაგების კომპარტიაში მიღებაზე თუ ვინმეს რაიმე საწინააღმდეგო გაქვთ, გთხოვთ გვაცნობოთ მე-2 ლეგ. მე-7 კომუჯრედში.

მდივანი ლვინიაშვილი.

მე-2-რე ქ. მ. დ. ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება საქ. კომპარტიის კანდიდატად მიღების შესახებ წითელ არმიელებს: ვარლამ თეოფანესძე ცაგარეიშვილს (მცხოვრები ქ. სამტრედიაში) და ამხ. ვლადიმერ მიხეილისძე ლორენცს (მცხოვრები სოფ. წინანდალში). პირველი მათგანი ა. ლ. კ. კ. წევრია მეორე, კი უპარტიო.

აღნიშნული კომუჯრედი სთხოვს ყველა იმ პირთ, ვისაც რაიმე უარყოფითი აქვთ ხსენებულ ამხანაგებზე აცნობონ მას (კომუჯრედს) ერთი კვირის განმავლობაში.

კომუჯრედის პ. მ. მდივანი ახალაშვილი.

## განცხადება.

**ქართულ ნაწილების ბიბგამგეების საყურადღებოთ.**

დღეს 24 აპრილს 10 საათზე არმიის პოლიტსამმართველოს მომარაგების ნაწილში დარიგდება სხვა და სხვა მასალა ბიბლიოთეკებისათვის.

ბიბგამგეები ვალდებულნი არიან დროზე მიიღონ მასალა, ვინაიდან გაცემა მასალის სხვა დროს არ იწარმოებს.

**დაკარგე** წითელ არმიელის წიგნაკი №6 მე-3—ქართულ მსრ. ლეგიონის მიერ მოცემული დავითი ბესარიონის-ძე გაბუნიას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად.

ნ. ღ. ს. ც. სამხედრო სტამბა ქეცხოველის ქ. № 3. დრ. პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ადამაძე.